



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 6 14 00970569

22/05/2014

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის ხარვეზები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბ-ნ დიმიტრი მახათაძეს

ბატონო დიმიტრი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „112“ არის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი, რომელიც საგანგებო სიტუაციებში და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უზრუნველყოფს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი სუბიექტების დროულად და სწორად ჩართვას პროცესში. შესაბამისად, სსიპ „112“-ის მისიას წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების მიღების დროის შემცირება.

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ „112“-ის ოპერატიული მართვის ცენტრში შემოსული შეტყობინებებიდან სამედიცინო ხასიათის შეტყობინებათა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 60.80%-ს, ხოლო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ მოწოდებულ სამედიცინო სტატისტიკაზე დაყრდნობით, ასეთი შინაარსის გამოძახებათა 30.1% წარმოადგენს არაგადაუდებელ შემთხვევებს და არ საჭიროებს სამედიცინო ბრიგადის მიერ ადგილზე დახმარებას. შედეგად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა ხშირად ითავსებს ოჯახის ექიმის ან სამედიცინო დაწესებულებამდე პაციენტის გადამყვანის ფუნქციას. მოცემული მდგომარეობა იწვევს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის მონაწილეთა რესურსის გაუმართლებელ დატვირთვას და კრიტიკული მიზნობრივი ზარების მომსახურების ლოდინის ზრდას, რაც საგრძნობლად ზრდის მიზნობრივი მომხმარებლებისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების მიწოდების დროს და ეწინააღმდეგება სსიპ „112“-ის მისიას.

აღსანიშნავია, რომ პრობლემის გამომწვევ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს შესაბამისი რეგულაციის არარსებობა, რომელიც განსაზღვრავს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების კომპეტენციის სფეროს და მათ მიერ რეაგირების ვალდებულებას გაითვალისწინებს მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევებისთვის. ასეთი რეგულაცია/სტანდარტი მნიშვნელოვნად შეამცირებს სსიპ „112“-ის მიერ მიღებული



სამედიცინო შინაარსის გამოძახებების მიმდინარე რაოდენობიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურებისთვის გადაცემული შეტყობინებების რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, ასევე შეამცირებს დაყოვნებული საქმეების რიცხვს. ამასთან, იგი დაზოგავს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის სუბიექტთა ფინანსურ რესურსს და მინიმუმადე დაიყვანს არამიზნობრივ ხარჯებს.

გასათვალისწინებელია, რომ 2013 წლის მეორე ნახევარში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის ეფექტიანობის აუდიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია სწორედ არაგადაუდებელი ნოზოლოგიების (ინციდენტის ტიპები) გამოვლენაა, რომელთა მართვა სატელეფონო კონსულტაციის მეშვეობითაც არის შესაძლებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კოორდინაციით განისაზღვროს ზუსტი პროტოკოლები ისეთი არაგადაუდებელი შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით, რომელიც არ მოითხოვს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ ადგილზე გასვლას და წარმოდგენილი საკითხი დარეგულირდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტით. პარალელურად, სამედიცინო შინაარსის გამოძახებების მზარდი რაოდენობრივი სტატისტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ასევე გადაიხედოს არსებულ გამოძახებებთან მიმართებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების რესურსის შესაბამისობის საკითხი და უფლებამოსილ უწყებებთან კოორდინაციით გათვალისწინებულ იქნეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების დამატების შესაძლებლობა.

სსიპ „112“-ის მიერ მიღებული არაგადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევების შესახებ ინფორმაციას და მასთან დაკავშირებულ სტატისტიკას წარმოგიდგენთ თანდართული ფორმით.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში დაგვეხმაროთ წინამდებარე წერილში მოცემული პრობლემების გადაწყვეტაში.

დანართი: 8 ფურცლად.

პატივისცემით,

გიორგი ბიჭაშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

სსიპ „112“-ის დირექტორი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

სსიპ-"112" (დეპარტამენტი)
დირექტორი
გიორგი ბიჭაშვილი

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke at the bottom.